



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA030471294232217

№ 04-865/ო

01 / დეკემბერი / 2017 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის N01/474-ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე“ – სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის N01/474-ო ბრძანებაში (შემდგომში - ბრძანება) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი მუხლის „გ“ პუნქტით დამტკიცებული სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ტიპური დებულების (დანართი N3) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.ო“ ქვეპუნქტი:

„ე.ო) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს სახელით, დებულობს გადაწყვეტილებებს ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამაში კონკრეტული პირის ჩართვის, რეგისტრაციაზე უარის თქმისა და საქმის დახურვის თაობაზე.“;

ბ) ბრძანების პირველი მუხლის „დ“ პუნქტით დამტკიცებული სოციალური მომსახურების ცენტრისა და რაიონული (საქალაქო) განყოფილების ტიპური დებულების (დანართი N4) მე-4 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „მ“ ქვეპუნქტი:

„მ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს სახელით, დებულობს გადაწყვეტილებებს ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამაში კონკრეტული პირის ჩართვის, რეგისტრაციაზე უარის თქმისა ან საქმის დახურვის თაობაზე.“;

გ) ბრძანების პირველი მუხლის „ე“ პუნქტით დამტკიცებულ თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის დებულების (დანართი N5) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჩ“ ქვეპუნქტი:

„ჩ) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სააგენტოს სახელით, დებულობს გადაწყვეტილებებს ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამაში კონკრეტული პირის ჩართვის, რეგისტრაციაზე უარის თქმისა ან საქმის დახურვის თაობაზე.“

2. დავეალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს, სააგენტოში მოქმედი დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მართვის სისტემის მეშვეობით, ამ ბრძანების დაგზავნა ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ([www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge));

გ) სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტს (მ. წერეთელი), უზრუნველყოს სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულებისათვის ქმედითი დახმარების აღმოჩენა წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილებების შესრულება/რეალიზებასთან დაკავშირებით.

3. ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 01 დეკემბრიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე